DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.05

ბოლშევიკური ტერორი და საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციები XX საუკუნის 20–30 იან წლებში

BOLSHEVIK TERROR AND RELIGIOUS ORGANIZATIONS IN GEORGIA IN THE 1920s–1930s

სერგო ვარდოსანიძე
თბილისის სასულიერო აკადემია
თბილისი, საქართველო

Sergo Vardosanidze
Tbilisi Theological Academy
Tbilisi ,Georgian

აბსტრაქტი

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველო მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი სუბიექტის, ხოლო 1936 წლიდან როგორც „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა. ამ დროს საბჭოთა იმპერიაში საბოლოოდ დამკვიდრდა ტოტალიტარული მმართველობა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი მრავალრიცხოვანი ოპონენტების სასტიკი რეპრესიები დაიწყო; განსაკუთრებით მკაცრად ექცეოდნენ როგორც ქრისტიანული, ასევე სხვა რელიგიური დენომინაციის წარმომადგენლებს. ოფიციალური ხელისუფლება თვლიდა, რომ ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას ხელს უშლიდა საბჭოთა ადამიანების რელიგიურობა, ამიტომ საჭირო იყო მასთან ბრძოლა. საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია, 1921 წლის 15 აპრილის დადგენილების თანახმად, იურიდიული ძალის არმქონე ორგანიზაციად გამოცხადდა და დაიწყო საეკლესიო ქონების დატაცება, სასულიერო პირების დევნა. ტერორი თანაბრად გავრცელდა საქართველოში მოქმედ სომხურ სამოციქულო ეკლესიაზე, მუსლიმთა თემზე, კათოლიკურ ეკლესიაზე. 1921-1939 წლებში დაიხურა ასობით სომხური ეკლესია, დაპატიმრებულ იქნა მათი სასულიერო პირები. საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული სომხურ ეკლესიაში 1925 წელს დაწყებული განმაახლებელი მოძრაობა „თავისუფალი სომხური ეკლესიის ძმობა“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას

იჩენდა და ებრძოდა ძველ, გამოცდილ სასულიერო პირებს. რომის პაპის პიუს XI-ის ანტისაბჭოთა განცხადებების შემდეგ ხელისუფლება საერთოდ აღარ ენდობოდა კათოლიკე სასულიერო პირებს და მოსახლეობას. იყო შემთხვევები, როდესაც აქტიური კომკავშირლები შეურაცხყოფას აყენებდნენ კათოლიკე სასულიერო პირებს, ანგრევდნენ ქვის ჯვრებს, ბილწავდნენ კათოლიკურ ეკლესიებში დაბრძანებულ სიწმინდეებს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული დევნა გამოუცხადა ცნობილ ქართველ კათოლიკე სასულიერო პირებს. გორის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი კონსტანტინე საფარაშვილი 1923 წელს გორიდან გააძევეს, ხოლო კათოლიკური ეკლესია დახურეს. ის ახალციხეში გადავიდა ჯერ უდეს, ხოლო შემდეგ ახალციხის რაბათის ტაძრის მოძღვრად, მაგრამ 1927 წელს კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს სოლოვკის სასტიკ ბანაკში. 1926 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მღვდლობა აუკრძალეს და მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო გარდაცვალებამდე. 1924 წლის 4 იანვარს მიღებულ იქნა დადგენილება: „აჭარის სკოლებში რელიგიის სწავლების გაუქმების შესახებ“. ხელისუფლებამ აკრძალა მაჰმადიანთა რელიგიური დღესასწაულები: „შახსეი-ვახსეი“, „რამადანი“. აჭარაში დაიწყო მუსლიმი ქალებისათვის ჩადრების ახდა, მოსახლეობაში იმის პროპაგანდა, რამდენად მიუღებელი იყო ჩადრის ტარება. ანტირელიგიური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს რეგიონებსა და თბილისში დაიწყო მუსლიმური მეჩეთების ადმინისტრაციული წესით დახურვა, აგრეთვე იმ მოლების დაპატიმრება, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებებს.

„მებრძოლი ათეიზმის“ რისხვა დაატყდა თავს ებრაელებსაც. დაიწყო სინაგოგების ადმინისტრაციული წესით დახურვა. სინაგოგები იყო საკუთარი ისტორიული სამშობლოდან გადმოხვეწილი ებრაელობისათვის იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი წყარო. ხელისუფლებამ ტერორი გამოუცხადა იმ ებრაელ რაბინებს, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ მათ გადაწყვეტილებებს. 1922 წელს დახურეს აბაშის თემის სოფელ სუჯუნის სინაგოგა და დახვრიტეს რაბინი მიხაილ ელაშვილი. დახვრეტას ვერ გადაურჩა სოფელ ბანძის რაბინი დავით აჯიაშვილი, დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნენ: მოშე ჯანაშვილი, შალომ როკეტელაშვილი, დავით ჯანაშვილი. 1924 წლის 18 აგვისტოს ქუთაისში, გელათის ქუჩაზე, ხელისუფლებამ „აღმოაჩინა“ არალეგალური ებრაული სკოლა და სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნა ქუთაისის მილიციის განყოფილების უფროსს: „სასწრაფოდ დააპატიმრეთ და გამოაგზავნეთ ქუთაისის პოლიტიკურ ბიუროში რაბინი მიხეილ დავითაშვილი, რაფაელ რიჟინაშვილი, დანიელ კაკიტელაშვილი, იცხაკ ელიგულაშვილი“. ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა მოქმედ სინაგოგებსა და რაბინებზე. ებრაელებმა დახმარებისათვის მიმართეს ლევ ტროცკის, მაგრამ დახმარების ნაცვლად ახალი ტერორი და შევიწროება მიიღეს.

საკვანძო სიტყვები: სომხური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მუსლიმთა თემი, ებრაელი რაბინები, პროტესტანტული ეკლესიები.

ABSTRACT

During the 1920s and 1930s, Georgia was part of the modernized Soviet empire—initially within the Transcaucasian Federative Soviet Republic and, from 1936 onward, as a nominally 'independent' Soviet republic. By this time, totalitarian rule had been fully consolidated throughout the Soviet Union. The Bolshevik regime launched extensive and brutal repression against perceived opponents, with religious communities—Christian and non-Christian alike—subjected to particularly severe persecution. The Soviet authorities considered religiosity to be an obstacle to the construction of socialism and thus pursued systematic campaigns to undermine and eradicate it. In Georgia, the Orthodox Church was declared an organization lacking legal authority by a decree of April 15, 1921, followed by large-scale confiscation of church property and persecution of clergy. Similar repressive measures were directed against the Armenian Apostolic Church, the Muslim community, the Catholic Church, and later, Protestant denominations and various sectarian groups.

Hundreds of Armenian churches were closed between 1921 and 1939, and numerous priests were imprisoned. In 1925, the Soviet authorities organized a reformist movement within the Armenian Church called the *Brotherhood of the Free Armenian Church,* which displayed loyalty toward the Soviet regime and fought against the old, experienced clergy. Following the anti-Soviet statements of Pope Pius XI, the authorities ceased to place any trust in Catholic clergy and lay believers alike. There were instances in which active members of the Komsomol insulted Catholic priests, demolished stone crosses, and desecrated sacred objects housed within Catholic churches.

The Bolshevik authorities subjected prominent Georgian Catholic clergy to particularly severe persecution. In 1923, Konstantine Saparashvili, priest of the Catholic Church in Gori, was expelled from the city, and the church itself was closed. He subsequently moved to Ude and later served as priest of the Rabati Church in Akhaltsikhe. In 1927, however, he was arrested once again and exiled to the notorious Solovki labor camp. Although released from imprisonment in 1926, he was prohibited from performing priestly duties and remained under police surveillance until his death. On 4 January 1924, a decree was issued entitled '*On the Abolition of Religious Instruction in Adjara's Schools.*' The government banned Muslim religious festivals such as Shakhsei-Vakhsei and Ramadan. In Adjara, campaigns were launched to unveil Muslim women and to promote among the population the idea that wearing the veil was unacceptable. Based on recommendations from the Anti-Religious Commission, the administrative closure of Muslim mosques commenced in various regions of Georgia and in Tbilisi, along with the arrest of mullahs who refused to comply with government directives.

The wrath of "militant atheism" soon extended to the Jewish community: The administrative closure of synagogues began, depriving Jews—already exiled from their historical homeland—of their only remaining source of cultural and religious identity. The authorities launched terror against those Jewish rabbis who refused to comply with official directives. In 1922, the synagogue in the village of Sujuni, belonging to the Abasha community, was closed, and Rabbi Mikhail Elashvili was executed. Rabbi David Ajiashvili of the village of Bandza likewise faced execution, while others—Moshe Janashvili, Shalom Roketelashvili, and David Janashvili—were arrested and tried. On 18 August 1924, in Kutaisi, on Gelati Street, the authorities

'discovered' an illegal Jewish school and sent an urgent notice to the head of the Kutaisi militia department: '*Arrest immediately and send to the Kutaisi Political Bureau Rabbi Mikhail Davitashvili, Raphael Rizhinashvili, Daniel Kakitelashvili, and Itzhak Eligulashvili.*' The government imposed the strictest control over functioning synagogues and the activities of rabbis. The Jews appealed to Lev Trotsky for help, yet instead of support, they faced renewed terror and persecution.

Keywords: Armenian Church, Catholic Church, Muslim community, Jewish rabbis, Protestant churches.

შესავალი

ისტორიულად საქართველო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა, სადაც ქართველების გვერდით ცხოვრობენ: სომხები, ებრაელები, მუსლიმები, აფხაზები, ოსები, სხვადასხვა რელიგიური რწმენის (კონფენსიის) ადამიანები. ისინი თავისუფლად აშენებდნენ მეჩეთებს, სინაგოგებს, კათოლიკურ და სომხურ ეკლესიებს და ქართველებთან ჰქონდათ კარგი დამოკიდებულება. ბოლშევიკურ-ათეისტური ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო მათი დევნა-შევიწროება. სტატიაში აღწერილია XX საუკუნის 20-30 იან წლებში იმ სასტიკი დევნის ისტორიები.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, აღწერითი და ანალიზის მეთოდები. ქრონიკები და ისტორიული ტექსტები, ოფიციალური დოკუმენტები (კანონები, ხელშეკრულებები, არქივები), წერილები, მემუარები, წარმოჩენილია ისტორიულ კონტექსტში.

მსჯელობა

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, მდიდარი სომეხი ვაჭრების ხელშეწყობით, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და თბილისში მრავალი სომხური ეკლესია აშენდა, სადაც ღვთისმსახურებას ასრულებდნენ ეჩმიაწინის საკათალიკოსოს დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო პირები. სომხურ ეკლესიას თბილისში ვანქის ტაძარში ჰქონდა როგორც ეჩმიაწინის უმაღლესი პატრიარქ-კათალიკოსის, ასევე საქართველოში სომხური ეპარქიის რეზიდენცია. ამ დროს ეჩიმიაწინის კათალიკოსი იყო თბილისის ნერსესიანის სემინარიის კურსდამთავრებული გევორქ V (სურენიანი), რომელიც 1922 წელს ჩამოვიდა თბილისში, საგანგებო წირვა ჩაატარა ვანქის ეკლესიაში და შემდეგ შეხვდა საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს. თბილისის სომხური ეპარქიის მმართველი იყო მთავარეპისკოპოსი გევორქ ჩორექჩიანი (1921-1927, 1936-1938 წწ.). იგი 1945-1954 წლებში იყო ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათალიკოსი. 1921 წლიდან საქართველოში სომხური ეკლესიაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, დაიწყო ეკლესიების ადმინისტრაციული წესით დახურვა სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და თბილისში. სომხური ეკლესია იძულებული გახდა, გაეუქმებინა „იმერეთ-საქართველოს ეპარქია" და მის ნაცვლად დაეფუძნებინა საქართველოს სომხური ეპარქია რეზიდენციით თბილისში. სომხურ ეკლესიას რეგიონებში ჰქონდა პირველდაწყებითი

სასულიერო სასწავლებლები, რომელთა უმრავლესობა გაუქმებულ იქნა. გაუქმდა თბილისში არსებული ორი სემინარიიდან ერთი, თუმცა XIX საუკუნის 30-იან წლებში ეპისკოპოს ნერსეს აშტარაკეცის მიერ დაარსებულმა სემინარიამ იარსება 1924 წლამდე. ეს სასწავლებელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა სომხებში. ამ სასწავლებელში უსწავლიათ მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს: პერჩ პროშიანს, ღაზაროს აღაიანს, ოვანეს თუმანიანს, დენერიკ დემირჭიანს, ანასტას მიქოიანს და სხვებს. სასწავლებლის დახურვა დიდი დარტყმა იყო სომხური ეკლესიისათვის. საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული სომხურ ეკლესიაში 1925 წელს დაწყებული განმაახლებელი მოძრაობა „თავისუფალი სომხური ეკლესიის ძმობა“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა.

ბოლშევიკური ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა კათოლიკე მრევლს და მის სამღვდელოებას. ხელისუფლებამ იცოდა რომის პაპის ანტისაბჭოთა პოზიციის შესახებ, ასევე, ის ფაქტი, რომ 1921 წლის მარტში საქართველოდან ემიგრაციაში წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სტამბულში შეიფარა ქართველ კათოლიკეთა სავანემ, რომელიც ასევე ანტისაბჭოური სულისკვეთებისა იყო და ერთგულობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას. ამ დროს საქართველოში მოქმედი იყო 44-ზე მეტი რომაულ-კათოლიკური და 20 სომხურ-კათოლიკური ეკლესია. ხელისუფლებამ იცოდა, რომ კათოლიკე სასულიერო პირების უმრავლესობა უარყოფითად იყო განწყობილი ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ და საზღვარგარეთიდან დიდ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას იღებდა. ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კათოლიკური ეკლესიის ცენტრის ხელმძღვანელს ბაგრატიანს, რომელიც მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდა კათოლიკებს. ხელისუფლებამ თბილისსა და რეგიონებში დაგზავნა საიდუმლო წერილები, რომლებშიც მოითხოვდა გაერკვიათ ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის მრევლისა და სასულიერო პირების პოლიტიკური შეხედულებები. რომის პაპის პიუს XI-ის ანტისაბჭოთა განცხადებების შემდეგ ხელისუფლება საერთოდ აღარ ენდობოდა კათოლიკე სასულიერო პირებს და მოსახლეობას. იყო შემთხვევები, როდესაც აქტიური კომკავშირლები შეურაცხყოფას აყენებდნენ კათოლიკე სასულიერო პირებს, ანგრევდნენ ქვის ჯვრებს, ბილწავდნენ კათოლიკურ ეკლესიებში დაბრძანებულ სიწმინდეებს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული დევნა გამოუცხადა ცნობილ ქართველ კათოლიკე სასულიერო პირებს. გორის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი კონსტანტინე საფარაშვილი 1923 წელს გორიდან გააძევეს, ხოლო კათოლიკური ეკლესია დახურეს. ის ახალციხეში გადავიდა ჯერ უდეს, ხოლო შემდეგ ახალციხის რაბათის ტაძრის მოძღვრად, მაგრამ 1927 წელს კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს სოლოვკის სასტიკ ბანაკში. 1926 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მღვდლობა აუკრძალეს და მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო გარდაცვალებამდე. გორის კათოლიკური ტაძრის დახურვას გამოეხმაურა ვატიკანის წარმომადგენელი, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრ საშა გეგეჭკორს მოსთხოვა ტაძრის ხელახალი გახსნა, მაგრამ უშედეგო გამოდგა მისი შუამდგომლობა.

დევნიდნენ თბილისის წმ. პეტრესა და პავლე მოციქულის სახელობის კათოლიკური ტაძრის წინამძღვარს ემანუელ ვარდიძეს. ხელისუფლებას აღიზიანებდა ემანუელ ვარდიძის კავშირები ამერიკის, ინგლისისა და იტალიის საკონსულოებთან. ის 6-ჯერ იყო დაპატიმრებული 1921-1946 წლებში. რეპრესიების ტალღას ვერ გადაურჩა ქუთაისის კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი დამიანე სააკაშვილი. როდესაც მონასტერი დახურეს, იგი სიცოცხლის ბოლომდე ტაძრის მცველად მუშაობდა და უვლიდა იქაურობას.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ანტირელიგიური მუშაობა გააჩაღა ქვეყანაში მაჰმადიანური რელიგიის წინააღმდეგაც. საქართველოში ამ დროს ისლამურ რელიგიას აღიარებდა აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონების – სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და პანკისის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა. 1924-1926 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ანტირელიგიურმა კომისიამ მიიღო დადგენილებები მაჰმადიანურ მოსახლეობაში ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ. ამ მუშაობის დროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მშობლიურ ენაზე სკოლების გახსნა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სკოლებში ახალგაზრდა ქალების შეყვანა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მოლები. ამ ღონისძიებათა განხორციელების დროს ხელისუფლებამ დაუშვა უხეში შეცდომა – სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობის შვილებისათვის გახსნა აზერბაიჯანული სკოლები და დაიწყო ამ ხალხის მშობლიური კულტურული სივრციდან უხეში განდევნის პროცესი. მესხეთის გამაჰმადიანებული მოსახლეობის შეგნებული ნაწილი აპროტესტებდა ამ უსამართლობას, მაგრამ უშედეგოდ. ხელისუფლებას ძალიან აფიქრებდა ქვეყანაში მუსლიმანური მეჩეთების სიმრავლე (ამ დროს მოქმედებდა 90 მეჩეთი, მუსლიმურ პროპაგანდას ეწეოდა 414 მოლა – ს.ვ). ხელისუფლების აზრით, საჭირო იყო მათი განეიტრალება. 1924 წლის 4 იანვარს მიღებულ იქნა დადგენილება „აჭარის სკოლებში რელიგიის სწავლების გაუქმების შესახებ“. ხელისუფლებამ აკრძალა მაჰმადიანთა რელიგიური დღესასწაულები: „შახსეი-ვახსეი“, „რამადანი“. აჭარაში დაიწყო მუსლიმი ქალებისათვის ჩადრების ახდა, მოსახლეობაში იმის პროპაგანდა, რამდენად მიუღებელი იყო ჩადრის ტარება. ანტირელიგიური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს რეგიონებსა და თბილისში დაიწყო მუსლიმური მეჩეთების ადმინისტრაციული წესით დახურვა, აგრეთვე იმ მოლების დაპატიმრება, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებებს.

„მებრძოლი ათეიზმის“ რისხვა დაატყდა თავს ებრაელებსაც. დაიწყო სინაგოგების ადმინისტრაციული წესით დახურვა. სინაგოგები იყო საკუთარი ისტორიული სამშობლოდან გადმოხვეწილი ებრაელობისათვის იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი წყარო. ხელისუფლებამ ტერორი გამოუცხადა იმ ებრაელ რაბინებს, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ მათ გადაწყვეტილებებს. 1922 წელს დახურეს აბაშის თემის სოფელ სუჯუნის სინაგოგა და დახვრიტეს რაბინი მიხაილ ელაშვილი. დახვრეტას ვერ გადაურჩა სოფელ ბანძის რაბინი დავით აჯიაშვილი, დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნენ: მოშე ჯანაშვილი, შალომ როკეტელაშვილი,

დავით ჯანაშვილი. 1924 წლის 18 აგვისტოს ქუთაისში, გელათის ქუჩაზე, ხელისუფლებამ „აღმოაჩინა“ არალეგალური ებრაული სკოლა და სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნა ქუთაისის მილიციის განყოფილების უფროსს: „სასწრაფოდ დააპატიმრეთ და გამოაგზავნეთ ქუთაისის პოლიტიკურ ბიუროში რაბინი მიხეილ დავითაშვილი, რაფაელ რიჟინაშვილი, დანიელ კაკიტელაშვილი, იცხაკ ელიგულაშვილი“. ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა მოქმედ სინაგოგებსა და რაბინებზე. ებრაელებმა დახმარებისათვის მიმართეს ლევ ტროცკის, მაგრამ დახმარების ნაცვლად ახალი ტერორი და შევიწროება მიიღეს.

ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის, გარდა ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებისა, ახალ გამოწვევად იქცა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველში მომძლავრებული სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები, როგორებიც იყვნენ: ლუთერანები, დუხაბორები, მოლოკნები, ბაპტისტები. ხელისუფლებამ მათთან ანტირელიგიური მუშაობა გააჩაღა, მაგრამ ეს არ იყო ადვილი, ამიტომ პროპაგანდის პარალელურად მიმართავდა მათი სულიერი ლიდერების მიმართ ტერორს. ბევრი ბაპტისტი გადასხლებულ იქნა ციმბირში, ხოლო 1927 წელს მოკლეს საქართველოში ბაპტისტური ეკლესიის დამაარსებელი ილია კანდელაკი. დევნა-შევიწროება განიცადა საქართველოში ლუთერანულმა ეკლესიამ, რომლის მრევლის ძირითადი ნაწილი გერმანელები იყვნენ, ხელისუფლება არ ენდობოდა მათ და ანტირელიგიური მოძრაობის დროს განსაკუთრებულ შეზღუდვებს უწესებდა, არაერთელ დააპატიმრეს ლუთერანული ეკლესიის პასტორი რიჰარდ მაიერი, რომელიც 30-იან წლებში სიკვდილით დასაჯეს.

XX საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიები ქვეყანაში გაჩაღებული ანტირელიგიური კამპანიის დროს ისეთივე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

30-იან წლებში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირში“ იყო სპეციალური ჯგუფი, რომელთაც „რელიგიური ცრურწმენების“ აღმოფხვრის მიზნით უნდა ემუშავათ საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში. კვლავ გრძელდებოდა საქართველოს სომხებით დასახლებულ რეგიონებში ადმინისტრაციული წესით ეკლესია-მონასტრების დახურვა, ასევე, იმ სასულიერო პირების მიმართ რეპრესიები, ვინც ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. საქართველოში მცხოვრებ სომხებში დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ე.წ. „თავისუფალი სამღვდელოების“ მოძრაობა, რომელიც, რუსული „ობნავლენცების“ და ქართველი „განმაახლებლების“ მსგავსად, უპირისპირდებოდა ტრადიციულ სომხურ ეკლესიას და მის რელიგიურ ცენტრს – ეჩმიაწინს. 1929-33 წლებში საქართველოში სომხური ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი არტაკ სუმბატიანცი შეეცადა „თავისუფალი სამღვდელოების“ მოქმედებების შესუსტებას, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში ყოველთა სომეხთა უმაღლესმა კათალიკოსმა ხორენ I-მა თბილისის სომხური ეპარქიის მმართველად დააბრუნა მთავარეპისკოპოსი გევორქ ჩორექჩიანი, რომელმაც ენერგიული ზომები გაატარა საეპარქიო საქმეების მოსაწერიგებლად. მან რეგისტრაციაში გაატარა ანტირელიგიურ კამპანიას გადარჩენილი ეკლესიები და იქ მყოფი სასულიერო პირები, ივალდებულა ყველა ის პირობა, რასაც სახელმწიფო რეგისტრირებულ ეკლესიებს უყენებდა. 1934

წლის ივლისში ახალციხის სოფელ ჩაღრაშენიდან ეჩმიაწინში ჩავიდა ვინმე ტერ-აკოფოვი და კათალიკოს ხორენს მოსთხოვა მღვდლად კურთხევა და თავის სოფელში გაგზავნა, ის წინასწარმეტყველებდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას. მისი ასეთი გამოსვლა უყურადღებოდ არ დარჩენიათ უშიშროების ორგანოებს და დააპატიმრეს კიდეც. საქართველოს სომხური ეპარქია დიდი განსაცდელის წინაშე დადგა 1935-1936 წლებში. ხელისუფლებამ დაიწყო სერიოზული ანტირელიგიური კამპანია თბილისის სომხური ეპარქიის საკათედრო ტაძრის – ვანქის წინააღმდეგ.

1935 წელს მიღებულ იქნა დადგენილება: „დაკმაყოფილდეს ადგილობრივ მშომელთა შუამდგომლობა, რომლებიც ვანქის ეკლესიის დანგრევას და სრული საშუალო სკოლის აშენებას ითხოვენ“. ამ დადგენილების საფუძველზე, 1936-1938 წლებში დაანგრიეს საეკლესიო მუზეუმი, სასაფლაო და მთავარი ტაძარი. მის ადგილზე აშენდა 104-ე სომხური საშუალო სკოლა. სასაფლაოდან სუბ-გევორქის (წმინდა გიორგის) ეკლესიის ეზოში გადაასვენეს რუსეთის არმიაში ნამსახურები, ეთნიკურად სომეხი გენერლების: კომსი მიქაელ-ლორის მელიქოვის, ივან ლაზარევის, არშაკ ტერ-ღუკასოვის, ბებუთ შელკოვნიკოვის, ცნობილი სომეხი მრეწველისა და მეცენატის ალექსანდე მანტაშევის ნეშტები. იმავე წელს გააუქმეს ავლაბარში ხოჯე ვანქის სასაფლაო და დაანგრიეს სომხური ეკლესია. საქართველოში სომხური ეპარქიის საკათედრო ტაძარი 1938 წლიდან გახდა სუბ-გევორქი.

1938 წლის 5 აპრილს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი ხორენ I. ეჩმიაწინში გამართულმა საეკლესიო კრებამ თბილისის სომხური ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი გევორქი ეჩმიაწინის საკათალიკოსოს ადგილის მცველად (მოსაყდრედ) გამოარჩია, ხოლო 1945 წლის 16 ივნისს იგი გახდა სომეხთა კათალიკოსი გევორქ VI. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კათალიკოსები გევორქ V და ხორენ I დაკავშირებული იყვნენ თბილისთან. გევორქ V-ს დამთავრებული ჰქონდა თბილისის ნერსესიანის სემინარია, ხორენი კი ერთ დროს თბილისის სომხურ ეპარქიას განაგებდა.

1944-1948 წლებში საქართველოს სომხურ ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი კარაპეტ საჰაკიანი.

1941-1945 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეცვალა თავისი რელიგიური პოლიტიკა, საქართველოს სომხურმა ეპარქიამაც ისარგებლა. თუ 1934 წლის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი იყო 4 სომხური ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას ატარებდა 14 სასულიერო პირი, 1945 წელს მოქმედი ტაძრების რაოდენობა იყო 7, სასულიერო პირების რაოდენობა – 20-მდე. სომეხთა უმაღლეს კათალიკოსად ყოფნის დროს გევორქ VI, 1945 წელს, იმყოფებოდა თბილისში. მან წირვა ჩაატარა სუბ-გევორქის ეკლესიაში, შეხვდა სომხურ დიასპორას და მოუწოდა მათ, მხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ ანტირელიგიური კამპანიის დროს განსაკუთრებულად შეუტია რომის კათოლიკური ეკლესიის მრევლს. ხელისუფლება ანტიკათოლიკურ აგიტაციას აქტიურად ეწეოდა მოსახლეობაში. მათი მტკიცებით, პაპი პიუს XI 1939 წლამდე და შემდეგ

პიუს XII იყვნენ საბჭოთა კავშირში რელიგიური თავისუფლების ლოზუნგით ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისა და ახალი „ჯვაროსნული ომის „ინიციატორები.

ხელისუფლებამ როგორც საქართველოს ეკლესიის მეთაურს, პატრიარქ ქრისტეფორე III-ს, ასევე, ინტელიგენციას გააკეთებინა ანტიკათოლიკური განცხადებები.

1930 წლის 19 მარტს ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა პროფესორების – შალვა ნუცუბიძისა და კორნელი კეკელიძის გამოსვლები, რომელთაც დაგმეს „დასავლეთის არამკითხე მხარდაჭერა“, განსაკუთრებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს რომის პაპი და კენტებერიის მთავარეპისკოპოსი. სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: „კაპიტალიზმის მთავარი აგენტები ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ, გარდა იმათი, ვისაც შეუძლია დაიჯეროს, რომ ეკლესია და მისი მეთაური – რომის პაპის ტახტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თავისუფლების და აზროვნების მტერი იყო, რომელმაც ცეცხლზე დაწვა ჭეშმარიტების და მეცნიერების გმირები... დღეს ერთბაშად აუტოკდა გული ქრისტიანობის დასაცავად საბჭოთა ქვეყანაში... ჩვენ ვეწევით აღმშენებლობას და მშვიდობიანობა გვწადია, ხოლო თუ ვინმემ სულის საცხონებლად თუ ხორცის განცხრომისათვის ომი თავს მოგვახვია, ჩვენი კალამი მახვილად შეიცვლება და ლაბორატორია – თოფხანად“ (თალაკვაძე 2013: 626). ხელისუფლების დავალებით, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსა და ანტირელიგიურ ჯგუფებს უნდა შეეგროვებინათ მასალები თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალქალაქში, ახალციხეში მცხოვრებ კათოლიკეთა და იქ მყოფ კათოლიკე სასულიერო პირებზე. ხელისუფლებამ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა ქართველი კათოლიკე მღვდლები მიხეილ გოზალიშვილი და დამიანე სააკაშვილი, ემანუელ ვარდიძე, დონ გაბრიელ ასლანიშვილი. მათ ბრალდებოდათ კათოლიკე მრევლის გაზრდის მცდელობა და რომის პაპის პიუს XI-ის პირდაპირი ანტისაბჭოთა დავალებების შესრულება.

„XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსათვის, საქართველოში არსებული ლათინური წესის 30 საკრებულოდან, დაკეტვას მხოლოდ თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა და სოფელ სხილისის (ახალციხე) ტაძარი გადაურჩა. დანარჩენი სატაძრო ნაგებობები მუშათა და გლეხთა სახალხო დეპუტატების საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბალანსზე გადაიყვანეს და არამიზნობრივად, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ“ (ბარდაველიძე 2019: 106).

30-იან წლებში გააუქმეს ბათუმის, გორის, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიები. კათოლიკე სასულიერო პირთა უმრავლესობა დახვრეტილ იქნა. სიკვდილს გადაურჩნენ კათოლიკე მღვდლები: ემანუელ ვარდიძე, რომელიც 6-ჯერ იყო გადასახლებული; კონსტანტინე საფარაშვილი, რომელმაც მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 9 წელი გაატარა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში როდესაც ი. სტალინმა საბჭოთა კავშირში რელიგიის მიმართ მკაცრი პოლიტიკა შეცვალა, ყველა კონფესიას მიეცა გარკვეული შეღავათები, თუმცა ეს არ ვრცელდებოდა კათოლიკურ სამრევლოებზე. საბჭოთა ხელისუფლება თანახმა იყო, ვატიკანს საბჭოთა კავშირში დაენიშნა კარდინალი, რომელსაც კათოლიკური სამწყსო დაექვემდებარებოდა, მაგრამ

იმ პირობით, თუ ის უსიტყვოდ შეასრულებდა საერო ხელისუფლების ყველა მითითებას, რაზედაც რომის პაპმა პიუს XII-მ კატეგორიული უარი განაცხადა. სტალინს კარგად ახსოვდა დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე გერმანელთა ოკუპაციის დროს ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ანდრეი შეპტიცკის ანტისაბჭოური პოზიცია, ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირში რომის პაპს დაქვემდებარებული ძლიერი სამრევლოს არსებობა. მისი ბრძანებით, 1945 წელს დააპატიმრეს ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ყველა ეპისკოპოსი და 500 მღვდელი, ხოლო 1946 წელს ლვოვის საეკლესიო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის დედა რუსეთის ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ. რაც შეეხებოდა დანარჩენ კათოლიკე მრევლს, კიდევ უფრო შეუზღუდეს უფლებები და ვატიკანიდან გამოგზავნილი სასულიერო პირები ქვეყნიდან გააძევეს.

30-40-იანწლებშიანტირელიგიურიმუშაობააქტიურადმიმდინარეობდა საქართველოს მუსლიმ მოსახლეობაში როგორც აჭარაში, ასევე სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, პანკისის ხეობაში. განსაკუთრებით დიდი იყო მოლებისა და ხოჯების გავლენა მოსახლეობის დაბალ ფენებზე. ხელისუფლებას აფიქრებდა მოსახლეობაში მოლების ფარული აგიტაცია საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საგანგაშო იყო 1929-1930 წლებში თურქეთიდან მოლათა შემოსვლა, რომელთაც მოსახლეობა დააჯერეს მწყობრიდან გამოსული მეჩეთების შეკეთების აუცილებლობაში. ხელისუფლება ცდილობდა ანტირელიგიური ჯგუფების გაძლიერებას და მოსახლეობაში „ყურბან-ბაირამისა“ და „მოჰარამის“ საწინააღმდეგო პროპაგანდას, მაგრამ სოფლის მოსახლეობას მოლების უფრო სჯეროდა. ანტირელიგიურ პროპაგანდაში აქტიურად იყვნენ ჩართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელნი, „მოჰარამის“ საწინააღმდეგო კამპანიის დროს ქვეყნის შინსახკომის წარმომადგენლები იბარებდნენ ამ ღონისძიების ორგანიზატორებს და აფრთხილებდნენ მათი მავნებლობის შესახებ. ამ მუსლიმანურ დღესასწაულს თბილისელი მუსლიმები “შაჰსეი-ვაჰსეის˜ უწოდებდნენ და, აკრძალვის მიუხედავად, მაინც აღნიშნავდნენ. ანტირელიგიური პროპაგანდის მიუხედავად, 1945 წლის დეკემბერში აზერბაიჯანელმა შიიტებმა ახლანდელი გარდაბნის რაიონში განსაკუთრებულად აღნიშნეს „შაჰსეი-ვაჰსეის“ დღესასწაული და, როგორც უშიშროების მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, სადღესასწაულო ღონიძიებებში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის წევრებიც მონაწილეობდნენ. XX საუკუნის 40-იან წლებში თბილისში მეტეხის ხიდის რეკონსტრუქციის დროს დაანგრიეს შიიტური მეჩეთი. ამ ექსტრემალურ ვითარებაში სუნიტებმა შეიფარეს შიიტები და მოხდა მათ შორის შეთანხმება, გაანაწილეს დღეები და ორივე მიმდინარეობის მუსლიმთა სალოცავი გახდა თბილისის მეჩეთი, რაც იშვიათი მოვლენა იყო. მეოცე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მოქმედი იყო 2 მეჩეთი – თბილისის და ბათუმის. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მუსლიმ მოსახლეობაში განათლების კერების ფართო ქსელის გახსნა. 1928-1930 წლებში აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის შემოღებულ იქნა საყოველთაო დაწყებითი განათლება. სახელმწიფოს მიერ მუსლიმებით დასახლებულ სოფლებში სკოლების გახსნამ მოლებისა და ხოჯების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ ხელისუფლებამ „მეამბოხენი“

იქიდან გააძევა. 1929 წლის თებერვალში ბათუმის აკადემიურ თეატრში გამართულმა აჭარელ ქალთა ყრილობამ მოითხოვა ჩადრის ტარების აკრძალვა და მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობა. ხელისუფლებამ 30-იან წლებში გააუქმა ყველა მედრესე, რამაც აჭარაში დიდი არეულობა გამოიწვია, მაგრამ ხელისუფლებამ მოახერხა მისი განეიტრალება, თუმცა ადგილობრივ ანტირელიგიურ ჯგუფებს მისცა მითითება უფრო ფრთხილად ეწარმოებინათ ანტირელიგიურ მუშაობა.

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, თურქეთთან დადებული ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში დარჩა, ხოლო სამცხე-ჯავახეთი – საბჭოთა საქართველოს საზღვრებში. საოკუპაციო ხელისუფლებამ მუსლიმი მესხები „აზერბაიჯანელებად“ ჩაწერა და, შესაბამისად, მათ გაუხსნეს აზერბაიჯანული სკოლები. ამ მავნე გადაწყვეტილების შედეგი იყო მუსლიმი მესხების ქრისტიან ქართველებისაგან კიდევ უფრო გაუცხოება და დაპირისპირება.

1944 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ, მკაცრად გასაიდუმლოებული ოპერაციის შედეგად, სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში გადაასახლა მუსლიმი მესხები, რომელიც დღესაც სერიოზული გამოწვევაა ქართული სახელმწიფოსათვის.

მძიმე ვითარებაში იყვნენ ებრაული თემის წარმომადგენელნიც. ქვეყანაში ანტირელიგიური კამპანიის ფარგლებში ხდებოდა სინაგოგების დახურვა და ქოხ-სამკითხველოებად და კლუბებად გადაკეთება. 1932 წელს თბილისში დახურეს ებრაელთა სალოცავი და გადააკეთეს ლ. ბერიას სახელობის ებრაელთა კულტურის ცენტრად. უშედეგო აღმოჩნდა ებრაელთა მიმართვები ი. სტალინისადმი, დაებრუნებინათ ეს სალოცავი მორწმუნეებისთვის. ებრაულთა თემის წევრები გაჭირვების დროს დახმარებას უწევდნენ თანამემამულეებს. 1949 წლის ივნისში აზერბაიჯანიდან ჩასულ უცნობ ებრაელებს ზუგდიდელმა ებრაელებმა დახმარება გაუწიეს, რამაც ადგილობრივი ხელისუფლების გაღიზიანება და ებრაული თემის დაშლა გამოიწვია. 1930-იან წლებში საჩხერეში დახურეს 2 სინაგოგა. კულაშის თემის ებრაელობას 5 მოქმედი სინაგოგა ჰქონდა, რაც ადგილობრივი პარტიული ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევდა. ისინი წერილებს აგზავნიდნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში და მოითხოვდნენ 3 სინაგოგის დახურვას. 1932 წელს სინაგოგა დახურეს სოხუმში, 1951 წელს კი დაანგრიეს. ამის პარალელურად, ტერორი გრძელდებოდა ებრაელი რაბინების მიმართ. 1927-1932 წლების ტერორს შეეწირნენ: სურამელი რაბინი დავით ჯანაშვილი, სტალინირის (ცხინვალის) რაბინი აბრამ ბააზოვი, დავით ბაუმბერგი, რაბინი მიხეილ ჯინჯიხაშვილი, არონ ჯანაშვილი, მოსე ჯანაშვილი. მათ წაყენებული ჰქონდათ ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდება. 1938 წლის 11 ოქტომბერს შინსახკომის „სამეულის“ გადაწყვეტილებით დახვრიტეს ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი გერცელ ბააზოვი. გერცელის მამა იყო ცნობილი რელიგიური მოღვაწე დავით ბააზოვი, რომელიც 1913 წელს მონაწილეობდა გერმანიაში მაინის ფრანფურტში გამართულ სიონისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე. მან ასე დაიწყო თავისი გამოსვლა: „ძმებო, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა 2500 წელია ცხოვრობს და არასოდეს უგრძვნია მტრობა.

საქართველომ არ იცის გეტო, დარბევა, დისკრიმინაცია. ქართულში არ არის სიტყვა „პოგრომი~ (ოფრი-ეფრემაშვილი 2023: 191).

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში, ძირითადად თბილისსა და ქვემო ქართლში, იყო გერმანული დასახლებები. გერმანელებს ჰქონდათ ლუთერანული ეკლესიები. 1927 წლის მონაცემებით, გერმანელთა რაოდენობა 10 000-ს შეადგენდა. გერმანელებს თავიანთი იდენტობის შესანარჩუნებლად ლუთერანულ ეკლესიებთან ჰქონდათ სკოლები, მაგრამ ანტირელიგიური კამპანიის დროს, 1931 წელს, აიკრძალა ამ სკოლების საქმიანობა. 1931 წელს დააპატიმრეს პეტრე-პავლეს ეკლესიის პასტორი რიხარდ მაიერი, რომელიც 1933 წელს დახვრიტეს. ამის შემდეგ ლუთერანული ეკლესიები გადააკეთეს ბიბლიოთეკებად და კინო-თეატრებად. 1941 წლის 15-30 ოქტომბერს საქართველოდან ყაზახეთში გადაასახლეს გერმანელთა ოჯახები, ხოლო 1946-1947 წლებში გერმანელ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინეს გერმანელთა ეკლესია ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანზე. ასეთი მკვეთრი ღონისძიებების შემდეგ არ დარჩა არც ერთი გერმანული სალოცავი და სასულიერო პირი. 1930-იან წლებში საქართველში უკვე იყვნენ ბაპტისტები თბილისში, თელავში; პროტესტანტიზმის წიაღში აღმოცენებული ადვეტისტები, ჯავახეთში – დუხობორები, სადაც 30-იან წლებში ჩამოყალიბდა პარტიული და კომკავშირული უჯრედები. მათ დუხობორები გააერთიანეს კოლმეურნეობებში. თბილისსა და კახეთში იყვნენ მოლოკნებიც, მაგრამ მცირე რაოდენობით. ანტირელიგიურმა კამპანიამ ისინიც საგრძნობლად დაასუსტა.

დასკვნა

ტოტალიტარული სისტემა, რომელიც დამკვიდრდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ერთნაირი სისასტიკით ეპყრობოდა როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებს, საბჭოთა კავშირში სინდისის თავისუფლების ლოზუნგის ქვეშ გათელილი იყო ადამიანთა რელიგიური გრძნობები, ადმინისტრაციული წესით იხურებოდა საკულტო ნაგებობები და რეპრესიები ხორციელდებოდა რელიგიური დენომინაციების წარმომადგენლების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

თალაკვაძე 2013: დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურებიდან. თბილისი, 2013.

ბარდაველიძე 2019: ბარდაველიძე ნ., საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 2019.

ოფრი-ეფრემაშვილი 2023: ოფრი-ეფრემაშვილი ი., საქართველოს ებრაელთა ისტორია, ტ. 2. თბილისი, 2023.

References

Talakvadze 2013: Archpriest Nikita Talakvadze, From the Diaries of a Citizen Priest. Tbilisi, 2013.

Bardavelidze 2019: Bardavelidze N., Essays on the History of the Catholic Church in Georgia. Tbilisi, 2019.

Ofri-Efremashvili 2023: Ofri-Efremashvili I., History of the Jews of Georgia. Tbilisi, 2023.